



ევროპის საბჭო საერთაშორისო ასპარეზზე





ნა არის ევროპის საბჭო?

1949 წელს დაარსებული ევროპის საბჭო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მიზანია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა მთელ ევროპაში. მისი შტაბ-ბინა საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში მდებარეობს, 47 წევრი სახელმწიფო კი პრაქტიკულად მთელი ევროპის კონტინენტზეა გადაჭიმული.

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სან მარინო, სერბია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო.

გამოცემულია ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატის მიერ შედგენილია საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ საგარეო ურთიერთობათა დირექტორატთან თანამშრომლობით დიზაინი და მკვეტი: „Documents and Publications Production“ (DPDP), ევროპის საბჭო, 2008 წლის სექტემბერი



დეპუტების დარბაზი, „ევროპის სასახლე“



საპარლამენტო ასამბლეის სხდომა

მინისტრთა კომიტატი

ევროპის საბჭოს ძირითად ფასეულობათა მცველი

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რომელიც აერთიანებს 47 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს ან მათ მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლებს სტრასბურგში. ის წყვეტს ევროპის საბჭოს პოლიტიკას და იწონებს მის საქმიანობის პროგრამასა და ბიუჯეტს. მინისტრთა კომიტეტი განსაზღვრავს, თუ რაგვარი მოქმედებაა საჭირო საპარლამენტო ასამბლეისგან თუ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესისგან მომდინარე რეკომენდაციებზე.

საპარლამენტო ასამბლეა

პოლიტიკური მამოძრავებელი

საპარლამენტო ასამბლეა ევროპის საბჭოს პოლიტიკური მამოძრავებელია. მისი 636 წევრი თუ მათი შემცველები 47 წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტებიდან იხილავენ დასამტკიცებლად წარმოდგენილ დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები თუ რეკომენდაციები საგულისხმო ორიენტირებს სთავაზობს მინისტრთა კომიტეტს, ეროვნულ მთავრობებსა და პარლამენტებს. ასამბლეა მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების ინიციატორია, რითაც ხელს უწყობს ევროპული მასშტაბის საკანონმდებლო სისტემის შექმნას.



ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესის სხდომა



შესასვლელი დარბაზი, «ევროპის სასახლე»

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესი

სახალხო დემოკრატიის მეთვალყურე

კონგრესი გვევლინება მამოძრავებელ ძალად, რომელიც ცენტრალური მეთვალყურის მინიჭებას ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოებისათვის. მასში შედიან ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების არჩევითი წარმომადგენლები. ის მეთვალყურეობს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განვითარებას, ხელს უწყობს პოლიტიკურ დიალოგს სახელმწიფო ორგანოებსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის და მხარს უჭერს რეგიონულ და ადგილობრივ საზღვრებს მიღმა თანამშრომლობას.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა კონფერენცია

სამოქალაქო საზოგადოებასთან სასიცოცხლო კავშირის უზრუნველყოფა

კონფერენცია აერთიანებს 400-მდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას. ის აუცილებელი კავშირებით უზრუნველყოფს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და საზოგადოებას და სამოქალაქო საზოგადოების ხმას საბჭომდე მიანვდენს. საბჭოს საქმიანობა დიდ სარგებელს ჰპოვებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა საექსპერტო ცოდნასა და მათ უნარში, იყენენ ევროპულ მოქალაქეთა უშუალო სიახლოვეს.



ადამიანის უფლებათა შენობა, სტრასბურგი



„ევროპის სასახლე“, მარიანო გონსალეს ბელტრანის ქანდაკებასთან ერთად - „ადამიანის უფლებები“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ძირითად თავისუფლებათა დამცველი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელსაც სტრასბურგში უდევს ბინა, მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც აკონტროლებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობას. მისი როლი გულისხმობს აღნიშნული კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებათა დაცვას, რომლის ხელშემკვრელი მხარეა ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფო. სასამართლოს წევრ მოსამართლეთა რაოდენობა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ოდენობის ტოლია.

ადამიანის უფლებათა კომისიარი

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ კულტურათა განვითარების ხელშემწყობი

კომისარი დამოუკიდებელ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელსაც ევალება, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებას, ცნობიერების ამაღლებასა და მათ დაცვას წევრ სახელმწიფოებში, ისევე როგორც ევროპის საბჭოს ნორმატიული ინსტრუმენტების სრულ და ეფექტიან დაცვას. კომისარი უმთავრესად აღმკვეთ როლს თამაშობს და გვევლინება ამა თუ იმ ფუნქციით, რომლებიც განეკუთვნება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად შექმნილ სხვა ორგანოებს. კომისარი არ ფლობს აღსრულების უფლებამოსილებას.



„ევროპის სასახლის“ შესასვლელი



შენიშვნა „აგორა“



გენერალური მდივანი

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მართვა

საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხუთი წლით არჩეული გენერალური მდივანი პასუხისმგებელია საბჭოს სამუშაო პროგრამისა და ბიუჯეტის სტრატეგიულ დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაზე. ამასთან, ის მეთვალყურეობს ორგანიზაციის ყოველდღიურ მართვასაც.

ევროპული სიმბოლოები

ევროპის დროშა - ცისფერ ფონზე გამოსახული 12 ოქროსფერი ვარსკვლავის წრე - განასახიერებს ევროპელ ხალხთა ერთობას. ის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინადადებით, 1955 წელს დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტმა. 1986 წლის მაისიდან, ევროპის დროშა გახლავთ, ასევე, ევროკავშირის ოფიციალური სიმბოლოც.

1972 წელს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ევროპის ჰიმნი: ჰერბერტ ფონ კარაიანის მუსიკალური არანჟირებით შესრულებული პრელუდია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ერთ-ერთი ნაწილისა - „სიბოტა სიხარულს“. 1985 წელს, ის დაამტკიცა ევროკავშირის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა სამიტმა, როგორც ევროკავშირის ოფიციალური ჰიმნი. მისი მიზანი არა წევრ სახელმწიფოთა ეროვნული ჰიმნების ჩანაცვლება, არამედ იმის აღნიშვნაა, რომ ეს სახელმწიფოები იზიარებენ საერთო ფასეულობებს და განასახიერებენ ერთობას მრავალსახეობაში.

ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფო

კიდევ რომელ საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნებიან ისინი?

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები	აკ	აუთო	ბაერო	ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები	აკ	აუთო	ბაერო
 ალბანეთი		*	*	 ანდორა		*	*
 ავსტრია		*	*	 ბელგია	*	*	*
 ბულგარეთი		*	*	 კვიპროსი	*	*	*
 დანია		*	*	 ფინეთი	*	*	*
 საფრანგეთი	*	*	*	 იტალია	*	*	*
 გერმანია	*	*	*	 ლიხტენშტეინი		*	*
 საბერძნეთი	*	*	*	 ლუქსემბურგი	*	*	*
 უნგრეთი	*	*	*	 მალტა	*	*	*
 ირლანდია	*	*	*	 მონაკო		*	*
 ლატვია	*	*	*	 ნიდერლანდები	*	*	*
 ლიტვა	*	*	*	 პოლონეთი	*	*	*
 მალტა	*	*	*	 რუმინეთი	*	*	*
 მონაკო		*	*	 სან მარინო		*	*
 ნიდერლანდები	*	*	*	 სლოვაკეთი	*	*	*
 პოლონეთი	*	*	*	 ესპანეთი	*	*	*
 რუმინეთი	*	*	*	 შვეიცარია		*	*
 სან მარინო		*	*	 თურქეთი		*	*
 სლოვაკეთი	*	*	*	 უკრაინა		*	*
 ესპანეთი	*	*	*				
 შვეიცარია		*	*				
 თურქეთი		*	*				
 გაერთიანებული სამეფო	*	*	*				

* ჩამონათვალი მოიცავს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ინაღვროვებდნენ ერთიანდებიან ევროპის საბჭოში. ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო უნარაჩსად იყო ევროპის საბჭოს წევრი.

დოკუმენტის შედგენა და გამოცემა: ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატი, სტრასბურგი. www.coe.int
Gyss Imprimatur Obernai - 2811487

ევროპის საბჭოს საგარეო ურთიერთობანი

www.coe.int



„ევროპის სასახლე“, სტრასბურგი

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან, კერძოდ ევროკავშირთან, ეუთოსთან და გაეროსთან ურთიერთობებში, ევროპის საბჭოს ქმედება ავსებს საერთო მიზნისაკენ მიმართულ საქმიანობას - აშენდეს დემოკრატიული და უსაფრთხო ევროპა.

ამჟამად, ეს ურთიერთობები ხელმძღვანელობს 2005 წლის მაისში გამართულ სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებებით. ვარშავის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა, რომლებშიც განსაზღვრულია ორგანიზაციის ძირითადი მიზნები, ადასტურებს ევროპის საბჭოს როლს ევროპულ ასპარეზზე. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა გამოხატეს თავიანთი მიზანსწრაფვა, „უზრუნველყონ ევროპის საბჭოსა და დემოკრატიული და უსაფრთხო ევროპის მშენებლობის პროცესში ჩაბმულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა ურთიერთშეთანხმებული ქმედება“ და მკაფიო აქცენტი დასვეს ურთიერთობებზე ევროკავშირთან, ეუთოსთან და გაეროსთან.

ევროპის საბჭოს საგარეო ურთიერთობები მოიცავს კავშირებს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები, კერძოდ ევროკავშირი, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) და გაერო;
- არანევრი სახელმწიფოები (სახელმწიფოები, რომელთაც არ შეუძლიათ გასაწევრიანებლად ევროპის საბჭოსადმი მიმართვა).

ევროპის საბჭოს ურთიერთობები ევროკავშირთან

www.europa.eu

ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მრავალწლიანი თანამშრომლობის ტრადიცია აერთიანებთ, რომელიც ეფუძნება საერთო ფასეულობებს: ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. თითოეული მათგანი სარგებლობს ერთმანეთის ძლიერებით შესაბამის სფეროებში და მათ ხელთ არსებული შედარებითი უპირატესობებით, მათი კომპეტენციითა და საექსპერტო გამოცდილებით, იმავდროულად კი თავიდან იცილებს საქმიანობის უსაგნო დუბლირებას.



ევროპული პარლამენტის შენობა, სტრასბურგი

2007 წლის შემდგომ, ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ახალ ჩარჩოს უზრუნველყოფს ურთიერთგაგების მემორანდუმი. მასში ევროპის საბჭო განსაზღვრულია, როგორც ორიენტირი ევროპაში ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის განვითარებაში, გამოთქმულია საჭიროება, რათა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროებში მოქმედი ამ ორი ორგანიზაციის სამართლებრივი ნორმები იყოს ურთიერთშეთავსებადი და მხარდაჭერილია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი მოღვაწეობა მომავალში.

15 წელიწადზე მეტია, რაც ევროპის საბჭო და ევროკავშირი ახორციელებენ მრავალ ერთობლივ პროგრამას, რომლებიც შეეხება გამოყოფი ხაზების გარეშე ევროპის მასშტაბით ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვის ნახალისებას, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებსა და სოციალურ თემებს.

ევროპის საბჭოს ურთიერთობები აუთოსთან

www.osce.org

ევროპის საბჭო და ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაცია (ეუთო), თავიანთი მანდატების ფარგლებში, მისდევენ სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზანს, რაც დაეფუძნება დემოკრატიას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა დაცვას ევროპაში.



ეუთოს სათავო ოფისი, ვენა

ამ ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობა კვლავაც შედეგზეა ორიენტირებული, აღჭურვილი უმაღლესი დონის შეხვედრათა რეგულარული ფორმატიითა და კონსულტაციებით ყველა დონეზე. მაგალითად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოსთან, მათ შორის საპარლამენტო ასამბლეასთან და ვენეციის კომისიასთან დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს, სხვებს შორის, ტერორიზმის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და არჩევნებზე დაკვირვების სფეროებს.

ორივე ორგანიზაცია ხელს უწყობს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარებას, რადგან ისინი სასიცოცხლო შემადგენლებია პოლიტიკური სტაბილურობის, ნარმატიული მმართველობის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალურად მდგრად საზოგადოებათა სამსახურში.

ამჟამად, ევროპის საბჭოსა და ეუთოს შორის თანამშრომლობა მობილიზებულია ოთხ პრიორიტეტულ სფეროზე: ბრძოლა ტერორიზმთან, ეროვნულ უმცირესობათა დაცვა, ბრძოლა ადამიანებით უკანონო ვაჭრობასთან და შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხები.

ევროპის საბჭოს ურთიერთობები გაეროსთან

www.un.org

*ევროპის საბჭოსა და გაეროს შორის
ფორმალური ურთიერთობები სათავეს იღებს
1951 წლიდან. 1989 წლის ოქტომბერში,
ევროპის საბჭოს მიენიჭა დამკვირვებლის
სტატუსი გაეროს გენერალურ ასამბლეაში.*

*გაეროს რეგიონული პარტნიორის
რანგში, ევროპის საბჭო რეგულარულად
მონაწილეობს მის უმთავრეს სააგენტოთა
მუშაობაში.*



გაეროს შენობა, ნიუ იორკი

ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობა სათანადოდ ჩამოყალიბდა შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებათა დაცვა, რასიზმთან, დისკრიმინაციასთან, ქსენოფობიასთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლა, უმცირესობათა დაცვა, წამების თავიდან აცილება, ბრძოლა ადამიანებით უკანონო ვაჭრობასთან და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან, ისევე როგორც ბავშვთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა და კულტურათშორისი დიალოგი.

ევროპის საბჭო განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას გაეროს ბავშვთა ფონდთან და გაეროს შემადგენელ სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის არიან: გაეროს უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საკითხებში, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა მაკოორდინებელი ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო. ცივილიზაციათა ალიანსის ინიციატივით, ასევე იგეგმება ერთობლივი პროგრამების განხორციელება.

ევროპის საბჭოს
ურთიერთობები სსკპ
საპრეზიდენტოს
ორგანიზაციებთან
და არანევრ
სახელმწიფოებთან



ევროკავშირთან, ეუთოსთან და გაეროსთან არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებთან ერთად, ევროპის საბჭოს გააჩნია რეგულარული კავშირები მსოფლიოს 30-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის თითქმის ყველა დიდ რეგიონულ ორგანიზაციასთან ევროპაში. აღნიშნულ რეგიონულ და ქვერეგიონულ ორგანიზაციებთან კავშირ-ურთიერთობები ეფექტიანი საშუალებაა ასევე არანევრ სახელმწიფოებთან დასაკავშირებლად და ევროპის საბჭოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ძირითად ფასეულობათა ხელშესაწყობად.

ხუთი სახელმწიფო - კანადა, ვატიკანი, იაპონია, მექსიკა და აშშ - სარგებლობს დამკვირვებლის სტატუსით ევროპის საბჭოში. თითოეული კონტინენტის არანევრ სახელმწიფოებთან დამყარებული პრაქტიკული და პრაგმატული ურთიერთობები საშუალებას აძლევს ევროპის საბჭოს, გააფართოოს საქმიანობის მასშტაბები და შეიძინოს გლობალური განზომილება. 45-ზე მეტი არანევრ სახელმწიფო გახლავთ ევროპის საბჭოს ამა თუ იმ კონვენციის ხელშემკვერი მხარე, ან გვევლინება ნევრად, დამკვირვებლად თუ მონაწილედ სხვადასხვა წილობრივ შეთანხმებაში, როგორცაა ვენეციის კომისია ან ჩრდილოეთი-სამხრეთის ცენტრი, რომლის ძალისხმევა მიმართულია ხმელთაშუა ზღვისპირ რეგიონზე. ევროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავებაში სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ დაინტერესებული არანევრ სახელმწიფოები.

